


შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

ჩ ა ო

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

2021 წელი



შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს ჩაო სრული შემოსავლების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	4	268,643	336,181
სხვა შემოსავლები		2,311	8,809
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		5,871	(2,204)
მარაგის შეძენა		(31,587)	(28,573)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(69,643)	(105,980)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(82,077)	(87,460)
შემენილი მომსახურების ხარჯი	5	(36,227)	(70,034)
საგადასახადო ხარჯი		(4,631)	(4,739)
სხვა ხარჯი	6	(11,418)	(8,035)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		<u>41,242</u>	<u>37,966</u>
საკუროს სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		(1,695)	(146,825)
ფინანსური ხარჯი		(786)	(42,342)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		<u>38,760</u>	<u>(151,201)</u>
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		<u>38,760</u>	<u>(151,201)</u>

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



თამაზ მახარაძე

დათო ზოიძე

შპს ჩაო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	2,737,352	2,814,484	2,897,566
არამატერიალური აქტივები	8	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივი		<u>2,737,352</u>	<u>2,814,484</u>	<u>2,897,566</u>
მიმდინარე აქტივები				
მარაგი	9	40,606	34,736	36,953
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	10	15,505	131,343	1,077,658
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		25,952	30,093	32,072
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	64,935	997,322	64,497
სულ მიმდინარე აქტივები		<u>146,998</u>	<u>1,193,494</u>	<u>1,211,181</u>
სულ აქტივები		<u>2,884,350</u>	<u>4,007,978</u>	<u>4,108,746</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,247,192	2,307,192	2,290,192
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		632,287	593,527	744,728
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>2,879,479</u>	<u>2,900,719</u>	<u>3,034,920</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	-	1,098,506	1,063,591
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>-</u>	<u>1,098,506</u>	<u>1,063,591</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,772	4,656	5,138
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		1,099	4,097	5,097
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>4,872</u>	<u>8,753</u>	<u>10,235</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>2,884,351</u>	<u>4,007,978</u>	<u>4,108,746</u>

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



თამაზ მახარაძე

დათო ზოიძე

შპს ჩაო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2019 წაშთი	2,290,192	744,728	3,034,920
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	17,000	-	17,000
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	(151,201)	(151,201)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31.12.2020 წაშთი	2,307,192	593,527	2,900,719
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	(60,000)	-	(60,000)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	38,760	38,760
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31.12.2021 წაშთი	2,247,192	632,287	2,879,479

დირექტორი



თამაზ მახარაძე

მთ. ბუღალტერი



დათო ზოიძე

შპს ჩაო

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2021	31.12.2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	312,693	401,791
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(20,203)	842,060
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(54,330)	(75,573)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	<u>238,160</u>	<u>1,168,279</u>
გადახდილი გადასახდები	(53,307)	(62,394)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	<u>184,853</u>	<u>1,105,884</u>
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>184,853</u>	<u>1,105,884</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(10,284)	(19,967)
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	-	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(10,284)</u>	<u>(19,967)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის ძირის გადახდა	(1,099,532)	(109,574)
სესხის პროცენტის გადახდა	(6,956)	(42,342)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	23	1,709
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(491)	(2,884)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(1,106,956)</u>	<u>(153,092)</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	<u>(932,388)</u>	<u>932,825</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	<u>997,322</u>	<u>64,497</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>64,935</u>	<u>997,322</u>

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



თამაზ მახარაძე

დათო ზოიძე

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჩაო ს.ნ 445402617, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 27.10.2011 წელს. საწარმოს იურიდიული მისამართი ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძეს ქ. 75, საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძეს ქ. 75. საწარმო დაფუძნებული და 100% წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი თამაზ მახარაძე (პ/ნ:61001010137).

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების მიწოდება, ასევე ქონების იჯარით გაცემა შემოსავლის მიღების მიზნით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუჯოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

✓ შენობა ნაგებობები	-2 %
✓ მანქანა დანადგარები	- 10-15%
✓ საოფისე აღჭურვილობა	-20-30%
✓ ავეჯი და მოწყობილობები	-14-20%
✓ სატრანსპორტო საშუალებები	-10-20%
✓ სხვა ძირითადი საშუალებები	-5-20%

3.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი .

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკუროს სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ამონაგები

(ლარი)

დასახელება	31.12.21	31.12.20
1 სასტუმროს ნომრების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი	261,743	270,684
2 საიჯარო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	6,900	65,498
ჯამი:	268,643	336,181

5. შეძენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)

დასახელება	31.12.21	31.12.20
1 სარეკლამო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯი	5,724	1,078
2 ბუნებრივი აირის ხარჯი	6,135	7,987
3 ელექტრო ენერგიის ხარჯი	11,015	7,316
4 წყლისა და კანალიზაციის მომსახურების ხარჯი	3,336	2,088
5 დასუფთავების მოსაკრებელი	810	870
6 საკაბალო ტელევიზიის მომსახურების ხარჯი	180	495
7 საკომუნიკაციო ხარჯი	2,038	2,805
8 სხვა მომსახურების ხარჯი	6,990	47,395
ჯამი:	36,227	70,034

6. სხვა ხარჯები

(ლარი)

დასახელება	31.12.21	31.12.20
1 მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	2,422	6,355
2 დახმარების და ქველმოქმედების ხარჯი	1,012	588
3 არასაგადასახადო ხარჯი	-	-
4 სხვა მომსახურების ხარჯი	7,984	1,092
ჯამი:	11,418	8,035

7. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2021	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2020
1 დაუმთავრებელი მშენებლობა	3,390			3,390
2 შენობა-ნაგებობა	3,348,513			3,348,513
3 მანქანა დანადგარები	83,856	2,070	3,136	84,922
4 ოფისის აღჭურვილობა	24,248	1,569	8,782	31,461
5 ავეჯი და სხვა ინვენტარი	193,857	5,076		188,781
6 სატრანსპორტო საშუალებები	9,000			9,000
ჯამი:	3,662,864	8,715	11,918	3,666,067

ცვეთა	ნაშთი 31.12.2021	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2020
1 შენობა-ნაგებობა	687,573	67,898		619,675
2 მანქანა დანადგარები	57,349	5,416		51,933
3 ოფისის აღჭურვილობა	22,730	2,108	2,999	23,621
4 ავეჯი და სხვა ინვენტარი	149,460	9,551	8,045	147,954
5 სატრანსპორტო საშუალებები	8,400			8,400
ჯამი:	925,512	82,077	11,044	851,583
საბალანსო ღირებულება	2,737,352			2,814,484

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

8. არამატერიალური აქტივები

(ლარი)

შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2021	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2020
1 ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	610	-	-	610
ჯამი:	610	-	-	610

ცვეთა	ნაშთი 31.12.2021	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2020
1 ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	610	-	-	610
ჯამი:	610	-	-	610
საბალანსო ღირებულება	-			-

9. მარაგი

(ლარი)

დასახელება	31.12.21	31.12.20
1 სარეალიზაციო საქონელი	440	427
2 ნედლეული და მასალები	1,813	780
3 დაუმთავრებელი წარმოება	-	-
4 მზა პროდუქცია	4,114	3,808
5 სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	34,239	29,721
ჯამი:	40,606	34,736

10. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

(ლარი)

დასახელება	31.12.21	31.12.20
1 სავაჭრო მოთხოვნები	13,840	9,199
2 მოთხოვნა პერსონალთან	0	0
3 გადახდილი ავანსები	1,665	122,144
ჯამი:	15,505	131,343

11. ფულადი სახსრები

(ლარი)

დასახელება	31.12.21	31.12.20
1 ფული საბანკო ანგარიშზე	60,239	993,758
2 ნაღდი ფული სალაროში	4,695	3,564
ჯამი:	64,935	997,322

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

(ლარი)

დასახელება	31.12.21	31.12.20
1 სესხის ხელშეკრულება #3649653 თარიღი: 01.07.2016	-	1,098,506
ჯამი:	-	1,098,506

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

დასახელება	31.12.21	31.12.20
1 სავაჭრო ვალდებულებები	3,772	4,656
2 ვალდებულება პერსონალთან	-	-
ჯამი:	3,772	4,656

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 1 მარტს.

დირექტორი



თამაზ მახარაძე

მთ. ბუღალტერი

დათო ზოიძე